# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება"-„ივერიის" რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის" აგენტთან ი. ჭყონიასთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"-„Иверіи".

**„დროება"-„ივერიის" ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება" და „ივერია" ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოთი [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება"-„ივერიის" აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ.



არწრუნის თეატრში
შაბათს, 20 ივნისს
ბ ე ნ ე ფ ი ს ი
ტრუპპის ადმინისტრატორის
**ად. ჩუბინოვისა**
ქართული დრამატიული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქმნება:

**I**

**ორ ცეცხლ-შუა**

დრამა 3 მოქმედ. ემილ დე-ჟირარდენის, თარგმ. ი. მაჩაბლისა.

**II**

**თამარ ბატონიშვილი**

მეოთხე მოქმედება (საპატიმრო).

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და „ივერიის" თამბაქოს მაღაზიაში.

დასაწყისი $8\frac{1}{2}$ საათზე.


# ტელეგრამმები

(„ჩრდილოეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი")

**პეტერბურღი**, 16 ივნისს. „გოლოსში" დაბეჭდილია, რომ ხვალ ხელმწიფე იმპერატორს ორი თეკინელი გამოეცხადება: ავიზ-ყული სარდარი და ყულიბატირი. ამავე გაზეთის სიტყვით, ექსპერტების კამისია, რომელსაც მინდობილი აქვს ღებებისაგან გამოსასყიდ მამულების გადასახადის შემცირება, მალე გაათავებს თავის მუშაობასა; იმ ცხრა მილიონს, რომელიც ამ გადასახადის შემცირებისათვის იყო დანიშნული, კიდევ მიუმატეს სამი მილიონი მანეთი.

**პეტერბურღის ბირჟა**, 16 ივნისს.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბანკის ბილეთები: | | |
| პირველი გამოცემისა — | 96 — | „ |
| მეორესი — — — — | 94 — | 25 |
| მესამესი — — — — | 94 — | 50 |
| მეოთხესი — — — | 94 — | 50 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 92 — | 87 |
| აღმოსავლეთის მეორე | 92 — | 75 |
| აღმოსავლეთის მესამე | 92 — | 87 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 — | 11 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 225 — | 75 |
| მეორე სესხის — — — | 219 — | „ |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 24 — 35 | პენსი |
| ბერლინი — — | 123 — „ | პფენიგი |
| ჰამბურღი — — | 210 — „ | ცენტი |
| პარიჟი — — — | 258 — 50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

## ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი

თბილისი, 17 ივნისს.

ამისთანა უბედური სასწავლებელი, მგონი, მეორე არ გაჩენილა დედამიწის ზურგზედ. მუდამ აყალ-მაყალი მასწავლებლებს და ზედამხედველს შუა, მუდამ განხეთქილება თვითონ მასწავლებლებში, დაუბოლოებელი საჩივარი შაგირდებისა თავიანთ ოსტატებზე, განუსაზღვრელი გაჭირება და სიღარიბე მოწაფეებისა. ამ ოთხის წლის წინათ აქ, ამ სასწავლებელში, ერთმა მასწავლებელმა თავი მოიკლა; სხვამ თავის ამხანაგი რევოლვერით კინაღამ მოჰკლა; ამ ორის წლის წინათ მასწავლებელმა ღვინიაშვილმა მოჰკლა ზედამხედველი სასწავლებლისა ასათიანი; ახლა კიდევ ორმა შაგირდმა დაიჭირეს თავის მასწავლებელი და, სანამ მე და თქვენ არ მივეშველებოდით, სცემეს.

სხვა რო არა იყოს-რა, მარტო ეს ერთი გარემოება საკმაოა, რომ უმაღლესმა მთავრობამ და განსაკუთრებით თვითონ იმერეთის სამღვდელოებამ ყურადღება მიაქციოს ამ თავის ერთად-ერთს სასულიერო სასწავლებელს. საქმე რო იქამდინ მივარდება, რომ შაგირდი თავის ოსტატს მიბერტყს, იქ სიკეთეს არ უნდა მოველოდეთ.

ტყუილი თავის მართლებაა, რომ გარყვნილმა და ხასიათ-გაფუჭებულმა ყმაწვილმა რო სცემოს ოსტატს, ეს ოსტატისა და სასწავლებლის ბრალი არ არისო. სწორედ მასწავლებლისა და სასწავლებლის წესების ბრალია, და არა სხვისა: ისე გარყვნილი და ხასიათ-გაფუჭებული თითქმის თავის დღეში არ იქნება მოსწავლე ყმაწვილი, რომ იმის ხასიათებისა და ცუდი თვისებების გასწორება კარგ სასწავლებელსა და რიგიან, გონიერ პედაგოგს-მასწავლებელს არ შეეძლოს. და თუ ვსთქვათ შვიდას შაგირდში ერთი რამდენიმე ამისთანა ყმაწვილი მოიპოება, რატომ სასწავლებლის მთავრობა, თუ სხვა ღონე არა მოეძევა-რა და ვერ ახერხებს იმათ მორჯულებას, რატომ არ ითხოვს სასწავლებლიდამ, რატომ დანარჩენ ყმაწვილებზედაც იქონიებს ამათ ცუდ ზედ-მოქმედებასა და გავლენას? ზანა პირ-და-პირი ანგარიში და გონიერება სასწავლებლის მთავრობისა იმას არ მოითხოვს, რომ ერთი ყმაწვილის დათხოვნით ექვსას-ოთხმოც-და-ცხრამეტი დაიცვან.

თორემ რა მაგალითია ამისთანა მაგალითი დანარჩენ შაგირდებისათვის? რა პატივის-ცემა, რა სიყვარული უნდა ჰქონდეს დანარჩენ მოწაფეებს იმ მასწავლებლისა, რომელსაც იმათვე ამხანაგებმა ამისთანა მძიმე და ადამიანის ღირსების დამამცირებელი შეურაცხყოფა მიაყენეს, როგორც მაგ. ბ. ზაფრინდაშვილს ზემოხსენებულს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში?!

კერძოთ ამ საქმის შესახებ ჩვენ გვწერდნენ ამას წინათ ქუთაისიდამ, რომ ბ. ზაფრინდაშვილი ხანდისხან პანჩურებს უბოძებს შაგირდებსაო და სილების ჭმევაც და თავში ჩაფაჩუნებაც იციო. ჩვენ არ გვჯეროდა, რომ ამ ჟამად, თუნდაც იმისთანა მიყრუებულს სასწავლებელში, როგორიც არის ქუთ. სასულიერო სასწავლებელი, მოინახებოდა ისეთი მასწავლებელი, რომელიც იხმარდა ამგვარ ღონის-ძიებებს თავის პედაგოგიურ მოქმედებაში, თავის შაგირდების გასაწრთვნელად და კეთილ გზაზე დასაყენებლად. მაგრამ დღეს, როდესაც ნამდვილად გამოაშკარავდა, რომ ორმა შაგირდმა ბ. ზაფრინდაშვილს შეურაცხყოფა მიაყენა, ჩვენ თითქმის ვრწმუნდებით, რომ ყველაფერი, რასაც კერძოთ იმაზე და საზოგადოთ ამ შავ-ბედით სასწავლებელზე იწერებოდნენ, სწორედ ნამდვილი და ჭეშმარიტი ამბავი ყოფილა. თუ ეს ასე არ იყოს, თუ ქუთ. სასულიერო სასწავლებელში ნამდვილი, გონივრული პედაგოგიური წესები იყვნენ დადგენილნი, თუ ბ. ზაფრინდაშვილი მართლა მცოდნე პედაგოგი იყოს და გონიერად, ლმობიერად აღმასრულებელი თავის მოვალეობისა, მაშინ წარმოსადგენი არ არის, რომ იმას ამგვარი შემთხვევა მოვლინებოდეს, რომ ისე გაებრაზებინოს თავის შაგირდები, რომ მოთმინებიდამ გამოსულნი საცემრად მივარდნილიყვნენ.

ამ ნაირად, ეს ერთი შემთხვევაც,

---

«დროების» ფელეტონი, 18 ივნისს.

## ელგუჯა

(მოთხრობა)

### შესავალი

1864 წელს დაჰკრა, საქვეყნოთ სასიამოვნო, საათმა და გამოცხადდა გლეხკაცების განთავისუფლება — ბატონყმობის გადავარდნა!... ხალხის ერთი მხარე—გლეხ-კაცობა და იმათი თანამგრძნობლები გატაცებულნი იყვნენ სიამოვნებით და მეტის-მეტა გადაჭარბებულს სარგებლობასა და სიკეთეს მოელოდნენ ახალის წესებისგან; მეორე მხარე — მებატონეები კი გულის კანკალით უყურებდნენ იმ დამოკიდებულების მოსპობას, რომელიც საუკუნოებითა არსებობდა ბატონსა და ყმის შუა.

განთავისუფლებულს გლეხებს ეგონათ, რომ ამ დღიდგან იმათი კეთილდღეობა, გამდიდრება და მოსვენება შეიქნა უეჭველ მოვლინებად; მებატონეები კი ჰფიქრობდნენ, რომ დღეიდგან ლუკმა გაუწყდათ და გუშინდელი იმათი მეხრეეობი დღეს მბძანებლებად გაუხდებოდნენ.

გაიარა პირველმა აღტაცების ჟამმა და ხალხი ცოტა დამშვიდდა. გლეხებმა დაინახეს, რომ იმათი იმედი მეასედათაც არა მართლდება და მებატონეებმაც, რომ იმათი ისეთი შიში ამაო ყოფილა, რადგანაც ახალ „დებულებას" ისეთი კუდები გამოუჩნდა, რომელიც ნაყმევს კეთილ-დღეობას, პირ-და-პირ, ნაბატონარის სურვილზედ ავდებს.

მცირე მემამულე მებატონე არ დაავალა ახალმა „წესდებამ", რომ თავის მოყმეებისათვის მამული მიეცა და გადასახლება კი რაცა ღირს, ნამეტნავათ ჩვენის გლეხ-კაცობისათვის, თქვენ თითონ კარგათ მოგეხსენებათ.

დიდი მამულების პატრონები თუმცა დაავალა ამ „წესდებამ", რომ მიეცათ „ნადელი", მაგრამ ტყე მებატონის განკარგულებაში დარჩა და გლეხკაცი, რომელიც უტყეოთ ვერ გასძლებს, დააყენა ისევ მებატონისგან დამოკიდებულებაში.

გლეხ-კაცებმა დაუშვეს ისევ თავი, მებატონეები კი გაიმართნენ წელში.

მაგრამ ამათი დამოკიდებულება კიდევ, როგორც იქნება, გასაძლებია, გასაძლებია მისთვის, რომ ახლო მომავალზედ იმედი გვაქვს, მაგრამ წარმოიდგინეთ ერთი გვარი განთავისუფლებული ყმების მდგომარეობა; იმ განთავისუფლებული ყმებისა, რომელთაც არაფითარი მამული არ არგუნა კანონმა.

ესენი გახლავან შინა-მოსამსახურეები, რომელთაც არ ეჭირათ მამული, არა ჰქონდათ თავიანთი სახლკარი.

წარმოიდგინეთ-მეთქი იმ ხალხის მდგომარეობა, რომელთაც არც სოფელი იკარებს, არც მებატონე აძლევს რასმეს და არც თავისუფალს სახელმწიფო მიწებზედ ასახლებენ...

მთაში საზოგადოთ იყო ჩვეულებათ ტყვეების მოყვანა და იმათი დამონავება; იმათ აყენებდნენ თავიანთ სახლში და ხმარობდნენ თავიანთ ბატონურის ძალის დასაცველად. ამის გამო კარგა ბლომათა გროვდებოდ-

ვიმეორებთ, საკმაოა იმის დასამტკიცებლად, რომ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში ხეირიანი წესები არ უნდა იყოს.

Და ეს გარემოება ჩვენ მით უფრო გასაკვირველად მივაჩნია, რომ ამ სასწავლებელს ჰყავს ისეთი განათლებული, ისეთი ენერგიული და გონიერი უფროსი, როგორიც არის Იმერეთის ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი Გაბრიელი. Საუბედუროთ, როგორც გვაცნობებენ, მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა თითქმის სრულიად არ აქცევს ყურადღებას თურმე ამ სასწავლებელსა, ზედამხედველზე აქვს მინდობილი და თვითონ კი არავითარ სასწავლებლის საქმეში არ ერევაო. Იმედი ვიქონიოთ, რომ ახლა, როდესაც სასწავლებელში ამისთანა ცუდი საქმე მოხდა, ახლა მაინც მოინდომებს პატივცემული ეპისკოპოსი დაახლოვებით გაცნობას ამ სასწავლებლისას, სადაც შვიდასზე მეტი ყმაწვილი სწავლობს და მომავალ სასულიერო და საერო მოქმედებისათვის ემზადება...Ս

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

Გაზ. „მოსკოვის Ტელეგრაფში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი Თბილისიდამ გაგზავნილი:

„Ამ უკანასკნელს დროს ჩვენს ქალაქში ბევრს ლაპარაკობენ საქალებო Ინსტიტუტის ფულების დახარჯვაზედ; ამბობენ, ოთხი ათას თუმნამდინ აკლიაო. Ამ გარემოების წყალობით, Ინსტიტუტის საქმეები ისეთს მდგომარეობაში ჩავარდა, რომ საჭიროდ შეიქნა, უმაღლესის მთავრობის განკარგულებით, ხაზინიდამ გამოეტანათ ფულები Ინსტიტუტის ქალების შესანახავად. Როგორც ეტყობა, რამდენიმე წლის განმავალობაში იხარჯებოდა ეს ფულები, მაგრამ დღემდინ ვერ გაიგეს. Ამ საქმის შესახებ გამოძიებაა დანიშნული და Ინსტიტუტის მთავრობა პასუხის-გებაში მისცეს“.

***

Ამას წინათ გაზეთს „პორიადოკში“ დაბეჭდილი იყო Თბილისიდამ გაგზავნილი კორრესპონდენცია, რომლის ავტორი ამტკიცებდა, დრო არისო, რომ მთავარ-მმართებლობა მოისპოს Კავკასიაშიო და ეს ქვეყანა ყოველფერში შეუერთდეს რუსეთსაო.

Ამ საგნის შესახებ აქაურს რუსულს ჟურნალში „Юридическое Обозрѣніе“-ში (№ 11) შემდეგ სტრიქონებს ვკითხულობთ:

„Დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ჩვენც იმ აზრისანი ვიყავით, რომ კარგი იქნებოდა სრული ადმინისტრატიული შეერთება რუსეთისა და Კავკასიისა. Მაგრამ ახლა რუსეთში თითქმის მუდამ დღე ისეთი ახირებული და წარმოუდგენელი საქმეები ხდება, რომ, მგონია, ცუდი არ იქნეს, თუ Კავკასია ჯერ-ხნობით ცალკე იცხოვრებს თავის საკუთარ გამგეობის მფარველობით.“

***

Პეტერბურღში არსდება სომხების საზოგადოება, რომელსაც სახელად ერქმევა „Აიასტან“ (სომხეთი) და რომლის მიზანი იქნება Ოსმალოს სომხეთი გაიცნოს და ყოველ მხრივ ასწეროს. Სხვათა შორის საზოგადოება აპირობს სომხეთის ვრცელ გეოგრაფიულ კარტის გამოცემას და მეცნიერების გაგზავნას ამ ქვეყნის შესასწავლად და ასაწერად.

***

Ჩვენ შევიტყეთ, რომ „Წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გარდაუწყვეტია თავის ხარჯით დაბეჭდოს და გამოსცეს თ. Რაფიელ Ერისთვისაგან ქართულად ნათარგმნი იგავნი Კრილოვისა და მისივე იგავ-არაკები „სიბრძნე სიცრუის“ წიგნიდამ გადაკეთებული.

## ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔᲓ

„Დროების“ 115 №-მა აცნობა მკითხველებს, რომ მისმა მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხოსმა არ ინება არც-ერთი იმ გარდაწყვეტილების დამტკიცება, რომელნიც საეპარხიო კრებამ შეასრულა 27 და 28 მაისსაო.

Საქმე ისე იყო მოჩარხული, რომ კაცს წინათვე უნდა ეფიქრა ასეთი შედეგი ექნებოდა ამ გარდაწყვეტილებებს. Კრებისათვის ფორმალურად არა იყო-რა მომზადებული. 26 მაისს საღამოზედ ეგზარხოსმა პირ-და-პირ გადასცა თავსმჯდომარეს სანთლის ქარხნის 1878, 1879 და 1880 წ. ანგარიშები და უბრძანა, რომ კრებას ამ ანგარიშებზედ ჰქონოდა მსჯელობა, მანამ თვითონ მიბრძანდებოდა იქა საბაასოთ.

Ეგზარხოსმა პირველ მაბრძანებაზედვე კრებას, როგორც მკითხველმა იცის, ორი წინადადება მისცა: ერთი, Თელავის სასულიერო სასწავლებლის ორი უფროსის კლასების დახურვის შესახებ და მეორე, ეპარხიის ეკკლესიებიდგან ფულის სესხებაზედ Თბილისის სასულიერო სასწავლებლისათვის სახლების მოსაპოებლად.

Პირველი საგანი არ ეკუთვნოდა კრებას. Აქვე ეგზარხოსმა ბრძანა-თუ სხვა კითხვებს აიღებდა კრება განსახილველად, ეს კითხვები მასთან წარდგენილიყვნენ მათზედ მსჯელობის ნება-რთვის მისაღებათ. Ამასთანავე მისმა მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობამ ინება, რომ ყველა საგნის შესახებ დადგინებები და მათი პირები ცალ-ცალკე ფურცლებზედ ყოფილიყვნენ დაწერილნი, რადგან ზოგნი შესაძლებელი იყო დამტკიცებულიყვნენ და ზოგნი კი არა. Ზოგი ამათგანი, ეგზარხოსისავე სიტყვით, სინოდში უნდა წარგზავნილიყვნენ. Ამ ბრძანებას რა აზრი ქონდა ძნელი მისახდომი არის. Წინათ ყოფილ საეპარხიო და საოლქო სამღვდელოების კრებათა დადგინებანი ერთ რიგზედ არიან დაწერილნი, ე. ი. ერთსა და იმავე ჟურნალში არიან შეტანილნი სხვა-და-სხვა საგნებზე სტატიები და არც როდისმე ამათი პირები გადაღებულან. Ახლა რაღა საჭირო იყო ყოველ საგანზე საკუთარი დადგინებები? Ან ისეთი რა საგნები იყვნენ განსაზღვრული კრებისათვის, რომ მათზედ დადგინებების დამტკიცება უსინოდოთ არ შეძლებულიყო? Ნუ თუ რომელიმე დადგინება უნდა გამხდარიყო იმ გვარ საფუძვლად, რა გვარი საფუძველიც, ზოგიერთების სიტყვით, გახდა მიზეზი: სამღვდელოებისაგან სასულიერო სასწავლებლებისათვის ზედამხედველობის აღრჩევის უფლების მიღებისა, ე. ი. ვითომც სამღვდელოებას საქმის წარმოება არ შეუძლიან და სხვ? Ეს ხომ უიმისოთაც ეწინასწარმეტყველა საეპარხიო კრებას ზემო აღნიშნულის „Დროების“ №-საგან.

Საქმის ვითარებიდგან ცხადათა სჩანს, რომ ამ საეპარხიო კრებისათვის მხოლოდ ორი საგანი იყო სახეში მიღებული: სანთლის ქარხნის 1878, 1879 და 1880 წ. ანგარიშების განხილვა და ეპარხიის ეკკლესიებიდგან Თბილისის სასულიერო სასწავლებლისათვის სახლების მოსაპოებლად ფულის სესხებაზედ ნება-რთვის გამოცხადება.

Მაგრამ ეს ორი საგანიც ისე შეუმზადებელი დახვდა კრებას, რომ მას არას-გზით არ შეეძლო მათ და შესახებ გადაჭრით ეთქვა რამე. Განა საფიქრებელია არ უნდა ყოფილიყო, რომ სანთლის ქარხნის სამი წლის ანგარიშებს ასე უცფათ რიგიანათ ვერ გაშინჯავდა კრება? Ამათ გაშინჯვას კრება მოუნდებოდა არა ნაკლებ ერთის კვირისა. Ამათ გასაშინჯათ კომმისსია დაინიშნა, მაგრამ თუნდა რომ ამ საგნის შესახებ დადგინება დამტკიცებულიყო, არა გამოვიდოდა-რა, რადგან ამ კომმისსიის მოქმენდობაზედ კრებას უკანასკნელი სიტყვის თქმა აღარ ეღირსებოდა. Საქმე კი რო ისე ყოფილიყო დამდგარი, რომ საეპარხიო კრების მოწვევამდინ ეს ანგარიშები მინდობოდათ მცოდნე პირებს განსახილველად და ამ უკანასკნელთ თავიანთი დასკვნა წარედგინათ კრებისთვის, მაშინ კრება თავის დადგინებას უფრო ჯეროვანს ძალას მისცემდა.

Აგრეთვე აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა:

Ა) Წინათვე ყოფილიყო ქალაქის მაზრის სამღვდელოების კრება, რომელსაც განესაზღვრა-თუ რამდენი ფული იყო მათთვის საჭირო სას. სა-

---

ნენ მთის მებატონეების სახლში ამ გვარი ყმები, რომელთაც არც მიწა ექირათ, არც ცალკე სახლი ჰქონდათ და მუშაობდნენ მებატონის საკუთარს მამულზედ უსასყიდლოდ, მარტო ლუკმა პურისათვის და ზედ ჩასაცვამის კონკ-ძონძებისათვის! Მთელი იმათი შრომიდგან არ შენახულა იმათთვის იმდენი, რომ ერთი ფეხის დადგმა მიწა, ან ერთი ძროხა თავის საკუთრებად დაენახათ.

Ამ მდგომარეობაში იყვნენ ეს ბედისაგან განწირულნი, როდესაც განთავისუფლების ხმამ გრგვინვასავით გაიარა საქართველოში და ამ საცოდავებსაც, სხვებთან ერთად, ქუდი მოახდევინა და მადლობა შეაწირვინა ღმერთისათვის.

Მოდი და ნუ გაუხარდებოდათ საცოდავებს, როდესაც ზოგს იმათგანს კიდევ ახსოვდა: მამა ჩერქეზში, დედა ქისტებში და თითონ საქართველოში ყოფილა ვაყიდ-გამოყიდული!...

Მოდი და ნუ გაუხარდებოდათ ახალი დებულება, რომლის ძალითაც დღეს თავის საყვარელს შვილს, ცოლს, დედას, სატრფოს ველარ გააშორებდნენ!

Მართლათაც, სასიხარულო იყო, მაგრამ დიდს ხანს გასწია იმათმა სიამოვნებამ და სიხარულმა? Თავისუფლების შემდეგ დაინახეს, რომ, თუმცა დედას შვილისაგან, საქმროს საცოლესაგან, ცოლს ქმარისაგან ველარ განიშორებენ, ველარ გაჰყიდ-გამოჰყიდიან, როგორც პირუტყვებს, მაგრამ ამათ ყველას ჭამა, სმა, ცხოვრება უნდა და ისინი კი ახალმა წესდებამ დააგდო ხელ გაშვერილ ლატაკებათ!

Იქამდისინ შემაძრწუნებელი იყო იმათი მდგომარეობა, რომ ზოგს ზედ დასახური საბანი და ქვეშ გასაშლელი ნაბადიც კი არ გაჰყოლიათ მებატონისაგან.

Ეს ხალხი გაიფანტა სხვა-და-სხვა ადგილებში და აქამდინაც ისევ ისე ხელ-გაშვერილები დადიან და თავის შესაფარებელი ადგილი ვერ უპოვნიათ; მაშინ როდესაც ათასი თავისუფალი ადგილები არის, რომელზედაც ადვილათ შეიძლებოდა იმათი დასახლება და ეხლა უსარგებლო სახელმწიფოს მწევრთაგან გაეშენებინათ სარგებლობის მომცემი ხალხი. Ვინ იცის საიდგან გადმოკარგულს „სკაპცებს“ (ხოჯებს) დამახინჯებულებს ზნეობითაც და კაცობითაც აძლევენ ადგილებს, — ამ საცოდავს ღმერთისაგანაც და კაცისაგანაც მოძულებულთ დასახლება უფრო მადლი არ იყო?

Აი ამათ ცხოვრებიდგან მინდა უძღვნა მკითხველს რამდენიმე მოთხრობა, მხოლოდ ეს წინასიტყვაობა საჭიროთ დავინახე, რადგანაც საქართველოში ბევრმა არც კი იცის, რომ ამ გვარი ყმებიც იყვნენ და ასობით ხალხი ამ დებულებამ ასეთს განმლატაკებელს და უნუგეშო მდგომარეობაში დააყენა.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

სწავლებლის სახლების მოსაპოებლად;

ბ) წინათვე შეკრებილიყო ცნობები—თუ რომელ ეკკლესიაში რამდენი თავისუფალი ფული იქონიება და ეს ფული როდემდის არ შეადგენს საჭიროებას ეკკლესიისათვის;

გ) რამდენი მღვდელია Თბილისის მაზრაში და რომელს მღვდელს რამდენი შეუძლიან წელიწადში შეიტანოს ჯამაგირიდგან მომავალის ვალის გარდასახდელად.

Აი ამის შემდეგ შეიძლებოდა მეორე საგანზედაც დადგინება საფუძვლიანი გამოსულიყო. Ეს ორი საგანი არ გადიჭრა სურვილისა მებრ და არც ჟურნალი დამტკიცდა.

Დანარჩენი სამი საგანიდგან ერთი სრულებით არ ეკუთვნოდა კრებას და ორი შემთხვევით შეიქმნენ მის მხვედრად. Არ ეკუთვნოდა საეპარქიო კრებას სახელდობ სტიპენდიატორების მიღება. Ეს უფლება, როგორაც სჩანს Თბილისის საეპარქიო საქალებო სასწავლებლის რჩევის ჟურნალიდგან, საყოველ-წლიოთ მინიჭებული აქეთ მაზრების სამღვდელოების კრებებს და ხსენებულ რჩევას. Ამ წელში კიდეც მიუწერია Თბილისის, Გორის და Თელავის სასულიერო სასწავლებელთა გამგეობისათვის, რომ მათ მოიწვიონ ამ საგნის თაობაზედ თავთავიანთ მაზრის სამღვდელოება, ასე რომ Გორის მაზრის სამღვდელოებისათვის ამგვარი კრება კიდეც არის დანიშნული ამ თვეში, Თელავის და Სიღნაღის სამღვდელოება კი ამ გვარ კრებას აუცილებლად მომავალ თვეებში მოელის.

Არზებიც მოხსენებულ სას. სასწავლებლის გამგეობაში შეაქეთ მთხოვნელებს; ამიტომაც კრებას ბევრი არზები დარჩენ განურჩეველნი, რადგან მისთვის გარდა Თბილისის სასულიერო სასწავლებლის განგეობისა, არავის წარუდგენია; და იმისაგანაც წარდგენილნი არზებიც საეპარხიო კრებას არ უნდა კუთვნოდნენ, როგორაც სჩანს იმავევე კრებისადმი წარდგენილ საეპარხიო საქალებო სასწავლებლის: რჩევის მახსენებიდამ (№ 15), რომლითაც ეს რჩევა სთხოვს ხსენებულ გამგეობას გამოუცხადოს Თბილისის მაზრის სამღვდელოების კრებას, და არა საეპარხიო კრებას ის პირობები, რა პირობებითაც 1881/82 სწავლის წლისათვის უნდა მიიღონ სტიპენდიანტები.

Შემთხვევით კუთვნილნი შეიქმნენ კრებისა საეპარხიო საქალებო სასწავლებლის სწავლა-აღზრდის და საკვებავის ნაწილების ანგარიშების განხილვა და ამავე სასწავლებლისათვის ნაჩალნიცის (უფროსის ქალის) ამორჩევა, რადგან ეს საგნები კრებისათვის სახეში არავის ქონია წინეთ. Ამას ამტკიცებს ისა, რომ ამ საგნების შესახებ საქალებო სასწავლებლის რჩევას კრებისთვის არა ვითარი წინადადება არ წარმოუდგენია. Კრებამ თვითონ მოსთხოვა რჩევას ანგარიშები და იმანაც წარმოადგინა: სწავლა-აღზრდის ნაწილის ანგარიში 27 მაისს სალამოს და საკვებავი ნაწილის ანგარიში კი 28 მაისს დილით ძლივს, რადგან ეს უკანასკნელი მამა ეკონომს მანამდინ შესრულებული არ ქონდა. Თუ რომ სასწავლებლის არჩევა სახეში ჰქონდა სასწავლებლის რჩევას, მას ერთი თვის წინეთ მაინც გაზეთებით უნდა მოეწვია მსურველნი ამ ადგილისა; ამ ადგილის მსურველნი 27 მაისს გამოჩნდენ, ისიც მხოლოდ სამი პირი, და გამოჩნდენ იმ შემთხვევის გამო, რომ ამ დღეს ძველი უფლრსი საქ. სკოლისა შავს მიწას მიაბარეს. Ამ სამმა პირმა თხოვნები კრების სახელობაზედ შეიტანეს და ერთი მათგანი კიდეც აირჩა სასწავლებლის უფროსად.

Ბანა ამის შემდეგ მართალი იქნება ის პირი, რომელიც იტყვის, რომ კრებამ ვერ შეიძლო გაეკეთებინა რამეო!

Ზემო მხრელი.

8 ივნისს.

## ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ

(დასასრული *)

ა ნ გ ა რ ი შ ი

| | |
|---|---|
| 15 მაისს 1880 წ. საზოგადოების კასსაში იყო | 13,636 მ. 95 კ. |
| 15 მაისიდამ 1880 წ. 1 იანვრამდე 1881 წ. შემოსულა: წევრთაგან . | 1158 მ. „ |
| ქუთაისის ბანკიდამ . | 1000 მ. „ |
| ფულის სარგებელი . | 277 მ. 50 კ. |
| სურამის წარმოდგენიდამ . . . . . . . | 50 მ. „ |
| Თფილისის სკოლის შეგირდებიდგან . . . | 33 მ. 50 |
| Დაბრუნებული შემოსავალი . . . . . . | 30 მ. „ |
| ს უ ლ . | 2549 მ. 95 კ. |
| სრული შემოსავალი იყო 1 იანვარს 1881 წ. | 16,185 მ. 70 კ. |
| 45 მაისიდამ 1880 წ. 1 იანვრამდე 1881 წ. დახარჯულა: სამასწავლო ნივთების და წიგნების სასყიდლათ . . . . . | 822 მ. 20 კ. |
| Თბილისის სკოლის, კანცელიარიის და ბიბლიოტეკის სახლის ქირა, სკოლაში მოსამსახურეთ ჯამაგირი და სხვა წვრილი ხარჯი . . . . . . . | 938 მ. 31 კ. |
| Ბათომის სკოლის ხარჯი . . . . . . . . | 1000 მ. „ |
| სტიპენდიანტების ხარჯი . . . . . . . | 443 მ. 34 კ. |
| Ბიბლიოტეკის წიგნების ყიდვა . . . . | 363 მ. 50 კ. |
| მგალობლებს. . . . | 65 მ. „ |
| სეკრეტარს . . . . | 375 მ. „ |
| Კანცელიარიის ხარჯი, წარსულის წლის ანგარიშის დაბეჭდვა, ბლანკები, განცხადება გაზეთებში და სხვა წვრილმანი ხარჯი . | 323 მ. 79 კ. |
| ს უ ლ . | 4331 მ. 14 კ. |

1 იანვარს 1881 წელს საზოგადოების კასსაში იყო 11,854 მ. და 56 კ. და ორი მომგებიანი ბილეთი მეორე სესხისა.

Თავმჯდ. ამხანაგი ილია გ. Ჭავჭავაძე.

წევრნი: { ი. ს. გოგებაშვილი. ი. მ. მეუნარგია. რ. დ. ერისთავი. ი. გ. მაჩაბელი. გ. მ. თუმანიშვილი.

*) იხ. „დროება“ № 124.

## Ბ. Ნ. Დ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘ

უკეთუმცა ბრმანი იყვენით, ცოდვამცა არა გაქვნდა; ხოლო აწ იტყვით, ვითარმედ ვხედავთ, და ცოდვანი თქვენნი ჰგიან.

(სახარება იოანესი, თავი მეცხრე, მუხლი ორმოც-და-ერთი).

Არა თუ გაზეთის „Დროების“ მკითხველებმა, არამედ, მგონი, მრთელმა ქართლმა და Იმერეთმა იცის, რომ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი ჭირიც არის და ლხინიც ბ. Ბაქრაძისათვის. Ლხინი იმიტომ გახლავსთ, რომ, სანამ ბანკის გამგეობის თავსმჯდომარის არჩევის დრო დადგება, ბ. Ბაქრაძეს ესხმება განუსაზღვრელი იმედის ფრთები; იმის თავიდამ არ გამოვა ბანკი და კენჭი; იქცევს თავს სხვა-და-სხვა წერილებზე, მინდობილებაებზე, სტატიებზე, რასაკვირველია, სულ ბანკის შესახებ; ის აღარ აკლდება სოფლის დღესასწაულებს, ტირილს და სიცილს; ხანდისხან, განსაკუთრებით კენჭის-ყრა რომ მოახლოვდება, გაისეირნებს ახლო-მახლო სოფლებისაკენ: ის ყოველ მინუტში მზად არის საალერსოთ და საამბოროთ. Ერთი სიტყვით, გვგონებათ, გარეგანი შეხედულობით, რომ ეს კაცი გაყმაწვილდაო.

Დადგა ნანატრი კენჭის-ყრის დრო! Ვინ იცის ეს რა დროა ბ. Ბაქრაძისათვის! Ერთი დღე, განატარები ამ დროს, უდრის ათ წელიწადს, განატარებს მოსვენებულად. Ამ დროიდან ბ. Ბაქრაძის ლხინს შეებმება ჭირი და იბრძვიან იმის გულში ლხინი და ჭირი. Ეპარევს ბ. Ბაქრაძეს გულში შიში: ნეტავი ლხინი გაიმარჯვებს თუ ჭირიო! Ეს ლხინის და ჭირის ბრძოლა, ემზგავსება სახადს, რომელსაც წლეულს თერთმეტი დღის ვადა ჰქონდა.

Ზოგიერთნი იძახიან: „ნეტავი როდის გამოვა ბ. Ბაქრაძე სათუოშიო? სახადი ყვავილს ჩამოგავსო! Აი, დაიწყო გამოფენაო! Თუ შავათ გამოაფინა, ცუდი ნიშანი არისო, და თუ თეთრათ, არა უჭირს-რაო! Ცოტათი მაინც თუ გადააჭარბა თეთრმა, არ შეაწუხებსო! Მაგრამ ბ. Ბაქრაძეს ძრიელ ეკიდება ხოლმე ეს ბატონებიო! Ნაზლის ტანა იცისო და სულ შავათ გამოყრის ხოლმეო“.

Სხვები ამბობენ: „Ეს ჭირი ნამდვილ ყვავილზე კიდევ უარესიაო! Ნამდვილ ყვავილს ერთჯელ მოიხდი სიცოცხლეში და მორჩები, მობრუნება არ იცის იმანო და ბ. Ბაქრაძეს კი ეს მესამეთ დაემართათ და სულ უფრო-და-უფრო ძნელათ [illegible] — მაგრამ, დალოცა ღმერთმა, [illegible] მოიხდის, მალე წამოიკეთებსო: ჯერ ლაპარაკს დაიწყებს, მერე მადა გაეხსნება რამე საჭმელზე და მერე კი შეუდგება მუშაობასო.“

Მართლაც რომ, ბ. Ბაქრაძე, შემდეგ კენჭის-ყრისა, რომელიც არაოდეს არ თავდება მის სასარგებლოთ, ჯერ იმითი ამოიღებს ხმას, რომ ელაპარაკება მნახველებს, თუ ყოველიფერი, რაც შემემთხვა, Ღოლაბერიძის მანქანებიდამ მოხდაო! Შემდეგ ის საჩივრებზე გაიხსნის მადას და გაგზავნის მინისტრის სახელზედ საჩივარს, რომელშიაც სჩივა, თუ უკანონო იყო საზოგადო კრების რჩევაო და იმის გარდაწყვეტილებაო; მაგალითად, ზედამხედველი კამიტეტის თავსმჯდომარე ძირის აზნაურიშვილი არ არისო; ოც-და-თორმეტი ათასი მანეთი კრებამ მოუმატა ძარეულ თავნსო და სხვანი.

Რასაკვირველია, იქიდამ მოსწერენ, თუ ეგ რა შენი საქმეაო.

Მერე ბ. Ბაქრაძე შეუდგება რედაქტორთან წერილების წერას. Ამ წერილებში იხსენებს ცოტ-ცოტათი, თუ რა გარდახდენია კენჭის-ყრის დროს, და, რასაკვირველია, ყოველიფერს აბრალებს ბ. Ღოლაბერიძის მანქანებას.

Მაგრამ ბ. Ბაქრაძის უკანასკნელ წერილში, „Დროების“ 118 ნომერში, წავიკითხე, ჩემდა გასაკვირველად, რომ Ღოლაბერიძის მანქანებას აღარ დაჯერებულა, მეც შემხებია და ამბობს: „ბატონის Ღოლაბერიძის მანქანებითო და თავსმჯდომარის უსამართლო მოქმედებითო სუყველა კანდიდატებს ერთათ ეყარა კენჭი ხუთს ურნაშიო“!

Მეორე ალაგს ამ წერილშივე ბ. Ბაქრაძე ბრძანებს: „წლეულს ერთის საათის წინ კენჭის-ყრამდის, რომელიც, ბ. თავსმჯდომარის წყალობით, მოხდა კანდიდატების ამორჩევის და ჩემგან ზემოთ დაწერილის სიტყვის თქმისა ორის დღის შემდეგ, გარყვნილი და მთვრალი დიაცი დამატაკესო...“

Აი ეს ორი ადგილი შემეხება მე ბ. Ბაქრაძის წერილში და მსურს ამ სტატიაში უგო მას პასუხი. Რასაკვირველია, ამ სიტყვებით რომ შემხებოდა გონებით ბრმა კაცი, მე არ მივაქცევდი ყურადღებას; ჩემის აზრით, არ ღირს იმისთანა კაცის დევნა, რომელიც თითონ ბუნებისაგან არის დევნული; მაგრამ უეჭველათ უნდა მოეთხოვოს ანგარიში თავის უსაფუძვლო და უსამართლო სიტყვებში იმ კაცს, რომელსაც მიუღია მაღალი სწავლა; რომელიც ცამეტი წელიწადია მსაჯულათ არის და რომელიც კიდევაც არ სჯერდება მსაჯულობის ადგილს.

Თუმცა, მართალია, ბ. Ბაქრაძემ არაფელი არ წარმოადგინა დასამტკიცებელ საბუთად, თუ რითი იყო უსამართლო ჩემი მოქმედება, მაგრამ მე მაინც დაუმტკიცებ იმას, რომ ხუთი-

ვე კანდიდატების ერთათ კენჭის-ყრა არა თუ უსამართლო მოქმედება იყო, არამედ თანახმა იყო როგორც კანონისა, აგრეთვე მომეტებული კრების სურვილისა.

ბ. ბაქრაძემ კარგად იცის, რომ ერთი წილი საზოგადოებისა თხოულობდა, სუყველა კანდიდატებს ერთათ ეყაროს კენჭიო, და მეორე წილი—რომ თითო-თითოთ ეყაროსო. კრებას შეადგენდა ცხრაასამდი მეკენჭე კაცი და რამოდენიმე ასი მაყურებლები ერიენ იმათში. რასაკვირველია, იმათი შეთანხმება ისე არ იქნებოდა, თუ ისევ კენჭს არ ვყრიდით იმაზე: ერთათ ეყაროს ყველა კანდიდატებს კენჭი, თუ ცალკ-ცალკეო. რომ გამწყრალიყო ღმერთი და კრებას გარდაეწყვიტა, რომ ცალკ-ცალკე ეყაროსო, ნეტავი, ბ. ბაქრაძის აზრით, ვის უნდა ეყარა კენჭი უწინ? როგორ გამოგვიყვანდა ბაქრაძე ამ გაჭირვებიდამ? თუ იმაზედაც უნდა გვეყარა კენჭი, რომელმა კანდიდატმა უწინ იყაროსო? ერთი რომ სანამ მთავარი კენჭის-ყრა დაიწყებოდა, სამი დღე გაივლიდა.

ახლა ამბობს ბ. ბაქრაძე, რომ ერთი დღე დავაგვიანე და იმას დიაცი დაატაკეს და სამ დღეს რომ გაევლო, ვინ იცის, იქნება მეორე დიაციც გამოჩენილიყო. მეორე ის, რომ, ცალკ-ცალკე რომ გვეყარა კენჭი, ხუთი მთელი დღე მოუნდებოდით კენჭის-ყრას. დარჩებოდენ ქუთაისში რაჭული და ლეჩხუმელი ცხენები და კაცები, თუ, არა, ღმერთმა იცის; ქვემოურები რკინის გზით მაინც მიდიან ქუთაისში. მაგრამ შეგვიბრალა ღმერთმა და კრების პრაქტიკულმა ჭკუამ და გარდაწყდა კენჭის-ყრით, რომ ყველა კანდიდატებს ერთად ეყაროს კენჭიო.

აი ეს კრების სურვილი.

ახლა კანონის მხრით შევხედოთ: ბ. ბაქრაძეს უეჭველათ ეცოდინება, რომ ჩვენი წესდების უკანასკნელი პარაგრაფი, ესე იგი, 102, ამბობს თუ „იმ შემთხვევაში, რომლისაც გარდაწყვეტა წესდების ძალით არ მოხერხდება, ბანკი ჰალდებულია დაემორჩილოს საზოგადო კანონებს, რომელნიც ეხლა მოქმედებაში არიანო“. მაშასადამე ჩვენ უნდა მივმართოთ იმ კანონებს, რომელნიც არსებობენ შესახებ ამორჩევისა. ბ. ბაქრაძემ, რომელიც დიდი მოყვარულია ამორჩევის საქმეებისა და, როგორც თითონ სთქვა, ხუთი წელიწადია ბრძოლაშია ამორჩევის დროს, უნდა იცოდეს, რომ რუსეთის იმპერიის კანონებში, მეცხრე ტომში, 221 სტატიის დამატების 34 პარაგრაფში, არის ნათქვამი შემდეგი: „ყველა კანდიდატები ერთსა-და-იმავე ადგილზე უსაცილოდ ერთ კრებაში უნდა იქმნენ გამორჩეულნი: ვინაიდგან სხვა-და-სხვა დროს გამორჩევა, სხვა-და-სხვა ამომრჩეველების რიცხვით, არ მოგვცემს საკმაო საფუძველს, რათა სამართლიანათ გავიგოთ, თუ რომელ კანდიდატსა აქვს უპირატესობა“. (приложеніе къ статьѣ 221, § 34 св. зак. Рос. Имперіи, т. зак. XI, оосот., изд. 1876 года). ჩემის აზრით, ამ კანონზე მითითება საკმაოა ბ. ბაქრაძის გასამტყუნებლათ.

(დასასრული ხვალ).

---

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს.** გავრანსკი — ქმობებიობისა და ქალების ავათმყოფობისა; გორალევიჩი და ლისიცოვი—შიგნაგან ავათმყოფობისა; როტინიანცი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავათმყობისა; შტემბორსკი ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფ.; რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; პეტროვსკი—ვენერიულ ავათმყოფობისა,

**ოთხშაბათს.** კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუჩარიანცი და შტემბორსკი—რიფილიტიკური და ტყავის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათი** გავრონსკი—ბებიობისა და ქალების ავათმყოფ.; როტინიანცი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყო.; ბაბაევი ძარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და პეტროვსკი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუჩარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობის.

**პარასკევს.** მინკევიჩი—სირურგიულ ავათმყოფობის; ბახუტოვი—ბებიობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიცოვი და ვერმიშოვი—შინაგან ავათმყოფობისა; შტემბორსკი — ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**შაბათი.** ლისიცოვი — შინაგან ავათმყოფობის. რეიხი—თვალების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობის; ქიუჩარიანცი 2-რე—ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა.

ობრეხტი — კბილის ავათმყოფებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს რდაიბებს საავათმყოფოს ბარათებით.

---

# განცხადებანი

## ინგლისის მაღაზიაში

**მოსახურავი** 4 მანე., ნასოსები 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწყებული, ფილტრები 4 მ., ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ:, ლეპიოშკები და პასტილა თამბაქოს მხმარებლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანნები და სხვა. (20—6)

---

## ისყიდება ინგლისის მაღაზიაში

30%-ზე უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან: მურაბა, კაკაო, ბრინჯი, ჭურჭლეულობა, ბაკლები, ტაშტები, პირის დასაბანები, ჩაინიკები, სტაქნები, პადნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კარანდაშები, რვეულები, თოფები, რევოლვერები, ალბომები, კრაოტები, ტანსაცმელი, ტრიკო, პარუსინა, ცხვირ-სახოცები, პირსახოცები, კლეონკა, კაცის და ქალის წინდები, უნაგრები, პორტვეინი, ხერესი, კონიაკი და სხვ. ჩაი პარტიებით ვაჭრებს ფუთობით 44, 46, 48, 50, 52, 54 და სხვ..

იქვე იაფად: შერბეთი, მაგნეზია და წყურვილისაგან ლეპიოშკები, ტკივებისაგან ქინაქინას ღვინო, კარბოლის პარაშოკი, საპონი და წამლები ეპიდემიისაგან დაცვისა, მედიკური ქაღალდი ფეხის-ალაგებისათვის, სპარსეთის პარაშოკი და სხვ. (15—8)

---

## ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ძიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფიადნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—89)

---

## ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
| --- | --- |
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—7)

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ,

ინგლისური რევოლვერი 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხელების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—72)

---

## ინგლისის მაღაზიაში

თმის აღ-მყვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (150—107)

---

**მოსახურავი** 4 მანეთად, ნასოსები 1 მან., დასაკეცი სკამები 2 მან., სკამიანი ჯოხი 4 მან., კრავატიანი კრესლო 10 მან. დაწყებული, ფილტრები 4 მან. ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 30 კაპ. თითო, ინგლისური ვანნები და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.**

10,000 რწყვილი ქალის წინდები 25 კაპ. დაწყებული 75 კაპ.-დისინ, 10,000 რწყვ. კაცის წინდები 35 კაპ. 1 მან.-დისინ, 7,000 პადნოსები 5 კაპ.—5 მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 არშინი ბომაზეი 1 მ.--1 მან. და 30 კაპ.-დისინ, 800 არშ. პარუსინა 40 კაპ.—1 მ.-დისინ 300 რევოლვერი 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 ალბომი ნახევარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკებით 1 მ.—65 კაპ., რკინის კალმები ყველა გვარ ხელისათვის. (15—7)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩოტკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. საავგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭადვანას იგარები, (100—87)